დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 1082526061**

თარიღი:**17/09/2025**

გურგენ გურჩიანისათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების და ჯილდოს გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ზ“ ქვეპუნქტის, „დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 სექტემბრის N26 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტის, მე-4 მუხლის და "დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის" 2025 წლის 17 სექტემბრის N1 ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გურგენ გურჩიანს (პ/ნ 15001010653) დმანისის მუნიციპალიტეტის წინაშე პროფესიული საქმიანობით გაწეული ღვაწლისა და დამსახურების აღიარება/დაფასების მიზნით, მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება და გადაეცეს ჯილდო საზეიმო ვითარებაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებულ სახალხო დღესასწაულზე „დმანისობა 2025“.

2. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი